სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/176

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ როსტომ ბერიძისთვის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-6 და მე-8 მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის №06-01/133 დადგენილების, „ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ როსტომ ბერიძისთვის ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 სექტემბრის №06-01/176 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტიდან არჩეულ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრს, პროფესორ **როსტომ ბერიძეს,** 2026 წლის **28 სექტემბრიდან შეუწყდეს** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება, ბსუ–ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებისა და ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორის თანამდებობაზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **მამია ფაღავა**